ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

# ლელო

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲔ-12 ᲬᲔᲚᲘ

№ 56 (966) | ᲙᲕᲘᲠᲐ, 8 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 1956 Წ. | ფასი 30 კაპ.

როგორც ცნობილია, ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურული ცხოვრების შესანიშნავი მოვლენის — სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისადმი მიძღვნილი საკავშირო ვარსკვლავისებური ესტაფეტის ჩატარების შესახებ.

დღეს ჩვენ ვბეჭდავთ ესტაფეტის ყველა რვა მარშრუტის რუკას. ამ გრანდიოზულ ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ათასობით მძლეოსანი,ველოსიპედისტი, მოტოციკლისტი, ნიჩბოსანი და სხვ.

პირველ ივლისს სტარტი მიეცა მე-5 მარშრუტს — ვლადივოსტოკი-მოსკოვი. ესტაფეტა გაივლის ციმბირს, ურალს, რუსეთის ფედერაციის ცენტრალურ ნაწილს. ამ მარშრუტის ორგანიზატორია „დინამოს" ცენტრალური საბჭო. მარშრუტის მონაწილეები ერთი თვის განმავლობაში იქნებიან გზაში.

„ლოკომოტივის" საზოგადოება პასუხისმგებელია 1-ლ მარშრუტისათვის — კიშინიოვი-კიევი-მოსკოვი. რკინიგზელი სპორტსმენები ესტაფეტას დაიწყებენ რკინიგზელის საკავშირო დღეს. მონაწილეები გაივლიან მსხვილ სარკინიგზო კვანძებს და მონაწილეობას მიიღებენ რკინიგზელთა დღესასწაულში.

ხალხთა სპარტაკიადის გახსნის დღეს ლუჟნიკის ცენტრალურ სტადიონზე შორეულ აღმოსავლეთის ესტაფეტასთან ერთად ერთდროულად მოიტანენ ესტაფეტებს ტაშკენტიდან, ერევნიდან, ბაქოდან, ვილნიუსიდან, კიშინიოვიდან, ტალინიდან, პეტროზავოდსკიდან.

## ᲔᲡᲢᲐᲤᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲘ ᲒᲐᲣᲓᲒᲜᲔᲜ ᲒᲖᲐᲡ




## ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲘᲡ ᲡᲢᲐᲠᲢᲖᲔ

### ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

დედაქალაქის სპარტაკიადაზე სიმაღლეზე ხტომაში ბრწყინვალე შედეგი მოიპოვა ცნობილმა მძლეოსანმა ი. კაშკაროვმა. მან დაძლია 2 მ და 8 სმ სიმაღლე და 1 სანტიმეტრით გააუმჯობესა მისივე საკავშირო რეკორდი, რომელიც მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე დაამყარა ნორვეგიაში.

10 კილომეტრზე სპორტულ სიარულში უძლიერესი იყო დინამოელი ვ. მირონოვი. მან დისტანცია დაფარა 43 წუთსა და 8 წამში. ეს შედეგი ახალი საკავშირო რეკორდი და ამ სეზონში მსოფლიოში საუკეთესო დროა. ურო ყველაზე შორს ტყორცნა ა. სამოცვეტოვმა — 62,29 მ. 100 მეტრზე რბენაში პირველობა წილად ხვდათ ვ. ტოკარევსა და ი. ბოჩკარევას. 110 მეტრზე თარჯრბენში ყველაზე კარგი შედეგი ჰქონდა ვ. ბოგატოვს. გამორბენით სიგრძეზე ხტომაში სპარტაკიადაში გამარჯვებულის სახელი დაიმსახურა ვ. ლიტუევმა.

სილუეტებზე ჩქაროსნულ სროლაში ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა „დინამოს" გუნდმა, რომელმაც 3.000 შესაძლებლიდან 2917 ქულა მოაგროვა. პირად პირველობაში უძლიერესი იყო დინამოელი ა. ზემცოვი. ველოსიპედისტთა შეჯიბრება როგორც ქალთა, ისე ვაჟთა გუნდებს შორის მოიგეს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის სპორტსმენებმა.

### ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ

3.000-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა ლენინგრადის სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში, რომლებშიც დამყარებულ იქნა ქალაქის 14 რეკორდი, აქედან 5 საკავშიროს, ხოლო 2 მსოფლიო მიღწევას აღემატება.

სპარტაკიადა იყო ვმირი ქალაქის სპორტსმენთა მზარდი ძალების ნამდვილი დათვალიერება. სპორტის თითქმის ყველა სახეობაში გაცილებით მაღალი შედეგები იქნა ნაჩვენები, ვიდრე წინა წლებში. მსოფლიო რეკორდსმენმა სიგრძეზე ხტომაში გ. პოპოვამ (ვინოგრადოვა) 100 მეტრი გაირბინა 11,6 წამში. ეს საკავშირო რეკორდის განმეორებაა. არა ნაკლებ საინტერესო აღმოჩნდა ვაჟთა ფინალური ვარბენიც. ბაბენკომ 100 მეტრი დაფარა 10,4 წამში და მოიპოვა ქალაქის ჩემპიონობა. ბადროს ტყორცნაში და ბირთვის კვრაში ქალთა შორის გაიმარჯვა გ. ზიბინამ. ვაჟთა შორის ბადრო ყველაზე შორს ტყორცნა ბ. მატვეევმა. მაღალი შედეგები იქნა ფიქსირებული სიგრძეზე ხტომაში ვაჟთა შორის. ხუთი სპორტსმენი 7,25 მეტრის იქით გადახტა. პირველი ადგილი დაიკავა ბონდარენკომ — 7,46 მ.

### ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲡᲠ

ფრუნზეს სპორტულ ბაზებში დამთავრდა ყირგიზეთის სსრ სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები სპორტის 16 სახეობაში. სპარტაკიადამ ახალი, მძლავრი ბიძგი მისცა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას რესპუბლიკის მშრომელებში.

სპარტაკიადის მსვლელობაში ყირგიზეთის სპორტსმენებმა 45 შესწორება შეიტანეს რესპუბლიკური რეკორდების ცხრილში. მნიშვნელოვნად გაიზარდა და განმტკიცდა მაღალთანრიგოსან სპორტსმენთა რიგები. სპარტაკიადის ოთხმა მონაწილემ შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

საერთო ჩათვლაში, როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვება მოიპოვეს ქალაქ ფრუნზეს სპორტსმენებმა.

## ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲚᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

ახლოვდება ფიზკულტურელის საკავშირო დღე. საბჭოთა ახალგაზრდობის ძლიერების, სიჭაბუკისა და სილამაზის ეს ჭეშმარიტი სახალხო ზეიმი მიმდინარე წელს 15 ივლისს გაიმართება. ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე, სპორტულ მოედნებზე, საწყლოსნო აუზებში, კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებლები — საბჭოთა ფიზკულტურელები მშრომელებს უჩვენებენ სოციალისტური სამშობლოს წარმატებებს ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივი განვითარების საქმეში, გამოავლენენ თავიანთ უსაზღვრო ერთგულებას დიადი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი.

ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურა და სპორტი ნამდვილი სახალხო მონაპოვარია. იგი მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა, ჭაბუკებისა და გოგონების ფიზიკურად გაკაჟების, საყვარელი სამშობლოს დაცვისათვის მზადყოფნის საპატიო საქმეა.

ამჟამად მოძმე რესპუბლიკებში მიმდინარეობს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის უკანასკნელი ეტაპი. ამ გრანდიოზულ სპორტულ ღონისძიებისათვის მზადყოფნას ავლენენ მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიის, მოლდავეთის ფიზკულტურელები თავიანთ სპარტაკიადებზე. დღეს დაიწყება რუსეთის ფედერაციის ხალხების სპარტაკიადა, რომელშიც ათასობით სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას. გასულ წლებთან შედარებით საგრძნობლად ამაღლდა სპორტსმენთა სპორტული მაჩვენებლები. მოძმე რესპუბლიკების სპარტაკიადებზე ნაჩვენები იქნა ბევრი მსოფლიო, საკავშირო და რესპუბლიკური რეკორდი, რაც მოწმობს, რომ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე საპატიო ადგილისათვის ბრძოლა მეტად დაძაბული და საინტერესო იქნება.

ჩვენთან კარგა ხანია დამთავრდა რესპუბლიკური სპარტაკიადა. ამჟამად საქართველოს სპორტსმენები გაცხოველებით ემზადებიან მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებთან შეხვედრისათვის. მთავრდება უკანასკნელი მოსამზადებელი სამუშაოები. სულ მალე რესპუბლიკის ნაკრები გუნდები მოსკოვში გაემგზავრებიან.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში წარმატებით მონაწილეობასთან ერთად ერთი წუთითაც არ უნდა შევანელოთ მუშაობა ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში. ამიტომ საჭიროა რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ფართოდ აღნიშნონ ფიზკულტურელის საკავშირო დღე. 15 ივლისს ქალაქებისა და რაიონების სპორტულ ბაზებზე უნდა გამოვიდეს ასობით ფიზკულტურელი. ეს დღე უნდა გადიქცეს სახალხო ზეიმად, მოეწყოს საინტერესო შეჯიბრებები, ამხანაგური შეხვედრები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, მასობრივი ტურნირები. 15 ივლისს რესპუბლიკის რეკორდების ცხრილმა მნიშვნელოვანი ცვლილება უნდა განიცადოს, ნიშნოსნების, თანრიგოსნების სიები ახალი გვარებით უნდა შეივსოს.

სასახელო მაჩვენებლებით შევხვდეთ ფიზკულტურელის საკავშირო დღეს, რათა ჩვენი წვლილი შევიტანოთ საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის საპატიო საქმეში. სამშობლოს აღვუზარდოთ კუნთმაგარი, ყოველი დაბრკოლებისადმი შეუდრეკელი ახალგაზრდობა, რომელიც მზად იქნება მკერდით დაიცვას დიდი ოქტომბრის მონაპოვარი.



ლისის ტბა დასვენების დღეებში. ფოტო მ. ზარგარიანისა.

### ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა:

სპორტულ ტანვარჯიშში — შ. გ. სამადაშვილს — თბილისი „ბურევესტნიკი". ა. ვ. ალფაიძეს — ქუთაისი „სპარტაკი".

კრივში — ნ. მ. კლეპიკოვს — სოხუმი „ბურევესტნიკი".

წყალში ხტომაში — ჟ. ს. საფაროვს — ბათუმი „პიშჩევიკი".

# მოსწავლეთა სპარტაკიადა, შეჯიბრებები

გასულ კვირას თბილისის „დინამოს“ სტადიონი საზეიმოდ იყო მორთული. აქ თავი მოეყარათ მოსწავლეთა VIII რესპუბლიკური სპარტაკიადის მონაწილეებს. 11 საათზე ნორჩ სპორტსმენთა კოლონა მწყობრი ნაბიჯით შემოვიდა მოედანზე. ცენტრალური ტრიბუნების წინ ჩამწკრივებულ სპარტაკიადის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა გ. ჯიბლაძემ, რის შემდეგ I ჯგუფში მონაწილე თბილისის, ქუთაისის, აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის (სხვა ქალაქებისა და რაიონების სპორტსმენები მონაწილეობენ მეორე ჯგუფში) წარმომადგენლებმა აღმართეს გათამაშების ალამი. სპარტაკიადის პროგრამაშია მძლეოსნობა, ცურვა, ტყვიით სროლა, ველოსპორტი, ტანვარჯიში, კალათბურთი და ფრენბურთი (შეჯიბრება კალათბურთსა და ფრენბურთში ხაშურში ტარდება).

უკვე დამთავრდა შეჯიბრებები მძლეოსნობაში, სროლასა და ცურვაში. მოსწავლეთა VIII რესპუბლიკური სპარტაკიადა მიზნად ისახავს უძლიერესთა გამოვლინებას ნაკრები გუნდების დასაკომპლექტებლად, რომელსაც მოუხდება საქართველოს სპორტული ღირსების დაცვა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე, მოსკოვში.



## მხოლოდ ერთი რეკორდი

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე დამთავრდა მოსწავლეთა VIII რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მძლეოსანთა შეჯიბრებები. I ჯგუფში გამარჯვებისათვის იბრძოდნენ თბილისის (2), აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და ქუთაისის გუნდები. სხვა ქალაქებისა და რაიონების სპორტსმენები გამოდიოდნენ მეორე ჯგუფში.

შეჯიბრება დაიწყო გოგონათა 100 მეტრზე რბენით. ფინალში გამარჯვებული გამოვიდა გ. ფაროლდი (თბილისი I) — 12,9. ამ სახეობაში ჭაბუკთა შორის ფინიშთან პირველი მივიდა აფხაზეთის წარმომადგენელი გ. ხორავა — 11,6. ჭაბუკთა შეჯიბრება სიმაღლეზე ხტომაში დამთავრდა ი. კულუხოვის (სამხრეთ ოსეთი) გამარჯვებით.

ამანათრბენში 4×100 მეტრზე (ჭაბუკები) გაიმარჯვა აფხაზეთის კოლექტივმა, რომელმაც 1,2 წამით უკეთესი შედეგი აჩვენა, ვიდრე გასული წლის ჩემპიონმა ქუთაისის გუნდმა. გოგონათა ამანათრბენში გასული წლის შედეგი — 53,2 ორი წამით გააუმჯობესა თბილისის I გუნდმა და ჩემპიონობა მოიპოვა.

ჭაბუკთა ასპარეზობა სიგრძეზე ხტომასა და შუბის ტყორცნაში დამთავრდა ვ. სოკოლოვისა (თბილისი I) — 6,43 მ და ლ. უჩანეიშვილის (აფხაზეთი) — 46,40 მ გამარჯვებით. გოგონათა შორის სიმაღლეზე ხტომაში ყველას აჯობა თბილისელმა ტ. ზოტოვამ — 1,40 მ.

გოგონათა შორის გასული წლის ჩემპიონის დ. კილასონიას შედეგი (30,83 მ) ბადროს ტყორცნაში ოთხმა მონაწილემ გააუმჯობესა. გამარჯვებულმა მ. ნედელიამ (აჭარა) ბადრო ტყორცნა 37,45 მეტრზე, რაც 42 სანტიმეტრით აღემატება ძველ რესპუბლიკურ რეკორდს. მეორე ადგილზე გამოვიდა დ. კილასონია (თბილისი I)—32,14 მ.

მიმდინარე შეჯიბრებაში ჭაბუკებმა ათი წამით უკეთესი შედეგი აჩვენეს 1.500 მეტრზე რბენაში ვიდრე გასულ წელს. გამარჯვებულმა ვ. ლენსკიმ (აფხაზეთი) დისტანცია დაფარა 4:19,6-ში, 110 მეტრზე თარჯრბენში ჩემპიონი გახდა თბილისის I გუნდის წარმომადგენელი ი. მაჩაიძე. 400 მეტრზე თარჯრბენში — ვ. ნაგორნი (თბილისი I გუნდი). აჭარელმა ა. ხაბურზანიამ ყველაზე მაღალი შედეგი—37,92 მ აჩვენა და ჩემპიონობა მოიპოვა ბადროს ტყორცნაში.

სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელი ვ. ვალიევი უძლიერესი იყო 400 მეტრზე რბენაში. მისი შედეგი 52,9 წამი II თანრიგის ნორმას უდრის.

ასპარეზობის უკანასკნელ დღეს მაღალი შედეგებით დამთავრდა ხუთჭიდელ გოგონათა შეჯიბრება. გამარჯვებულმა ვ. ვოლოშინამ (თბილისის I გუნდი) მოაგროვა 3.241 ქულა და მოიპოვა მეორე თანრიგი. მეორე თანრიგის შედეგი აჩვენა აგრეთვე II ადგილზე გამოსულმა მ. კომოვამაც (აჭარის ასსრ). ჭაბუკ ხუთჭიდელთა შეჯიბრება დამთავრდა ლ. ახიჯანოვის გამარჯვებით, რომელმაც შედეგით — 2.497 ქულა შეასრულა მეორე თანრიგი.

ოთხდღიანი დაძაბული ბრძოლების შემდეგ I ჯგუფში გამარჯვებულის ტიტული მოიპოვა თბილისის I გუნდმა. მეორე ადგილი წილად ხვდა აფხაზეთის, მესამე — აჭარის კოლექტივებს. მეორე ჯგუფში გაიმარჯვეს ზუგდიდის, ბორჯომისა და ხაშურის სპორტსმენებმა.

**ო. ივლუშვილი**

## თანრიგოსნები

დიღმის სასროლეთზე ოთხ დღეს გრძელდებოდა მოსწავლეთა შეჯიბრება სროლაში. აქ მხოლოდ პირველი ჯგუფის (თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და ქუთაისის) გუნდები მონაწილეობდნენ.

მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 50 მეტრზე სროლაში პირველი ადგილი დაიკავა შ. ქველიაშვილმა, რომელმაც 543 ქულა მოაგროვა 600 შესაძლებლიდან. შ. ქველიაშვილისა და ნ. კონიაშვილის შედეგები პირველი თანრიგის ნორმატივს უდრის.

გუნდური პირველი ადგილი მიეკუთვნათ თბილისელ სპორტსმენებს, რომლებმაც 2.124 ქულა მოაგროვეს და რესპუბლიკის ახალი რეკორდი დაამყარეს მოსწავლეთა შორის. სხვა გუნდები დაბალი მაჩვენებლების გამო ჩათვლაში ვერ მოხვდნენ.

50 და 100 მეტრზე სროლაში ე. წ. „ინგლისურ მატჩში“ პირად ჩათვლაში უძლიერესი აღმოჩნდა თ. ლეკიშვილი, რომელმაც 568 ქულა დააგროვა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა თბილისის კოლექტივმა. მეორე ადგილი წილად ხვდა აჭარის წარმომადგენლებს, რომლებმაც მხოლოდ 563 ქულის მოგროვება შეძლეს. დანარჩენი გუნდები კვლავ ვერ მოხვდნენ ჩათვლაში.

შეჯიბრების უკანასკნელ დღეს გაიმართა სადუელო სროლა. პირველობა აქაც თბილისელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს.

საერთო გუნდური პირველი ადგილი მიეკუთვნა თბილისის კოლექტივს, მეორე — აჭარას, მესამე — ქუთაისს.

**ზ. ქირია**

## ღია აუზში

სპარტაკიადის მონაწილეთა შეჯიბრება ცურვაში ღია აუზში ჩატარდა. მონაწილეობდნენ თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისისა და ფოთის ნაკრები გუნდები. პირველი ჩემპიონები გამოვლინდნენ 100 მეტრზე ცურვაში. ესენი იყვნენ თბილისელი სპორტსმენები რ. არკადიევა და ლ. გიორგაძე. ამავე მანძილზე ზურგით ცურვაში გაიმარჯვა თბილისელმა ე. შავიამ, რომელმაც საგრძნობლად გაასწრო მეორე ადგილზე გამოსულ აჭარელ მ. კოლუაშვილს. ვაჟთა შორის ამ სახეობაში გაიმარჯვა ვ. სოტნიკოვმა (თბილისი). დელფინის სტილით 100 მეტრზე ცურვაში გოგონებიდან ყველას აჯობა თბილისელმა მოსწავლემ ს. სვინჩენკომ.

გოგონათა შეჯიბრება 400 მეტრზე ცურვაში თავიდანვე საინტერესოდ წარიმართა. პირველობის ძირითადი პრეტენდენტები იყვნენ აჭარელი ყ. ხაჩატურიანი და თბილისელი ა. მორგუნენკო. ხაჩატურიანმა უკანასკნელ მეტრებში მოიპოვა უმნიშვნელო უპირატესობა და გაიმარჯვა. ვაჟთა შორის ამავე დისტანციაზე უძლიერესი აღმოჩნდა ბ. ნიკიტინი (თბილისი), რომელმაც კონკურენციის გარეშე დაიმსახურა პირველი ადგილი.

ბრასის სტილით 200 მეტრზე ცურვაში გოგონათა შორის სტარტიდანვე დაწინაურდა თბილისელი ლ. კრილოვა. მას კვალდაკვალ მიჰყვებოდა აჭარელი ე. ტარაპანოვა, მაგრამ უკანასკნელ მომენტში კრილოვა ძლიერი ბიძგით გაიჭრა წინ და გაიმარჯვა — 3.11,5. ეს შედეგი 0,5 წამით უარესია პირველი თანრიგის ნორმატივზე და საგრძნობლად აღემატება 15-16 წლის გოგონათა რესპუბლიკურ რეკორდს.

შეჯიბრება დამთავრდა. ოთხდღიანი ბრძოლების შემდეგ ადგილები ასე განაწილდა: I — თბილისი, II — აჭარა, III — აფხაზეთი.

**ა. ბარნოვი**

* * *





ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მარცხნივ — სპრინტერები ფინიშთან. მოცურავე ლ. გიორგაძე დისტანციაზე, აფხაზეთის მძლეოსნები ამანათის გადაცემისას.

ფოტო დ. იაკობაშვილისა.

## საფარიკაო ბილიკებზე

ფოთში დამთავრდა მოზარდთა პირად-გუნდური პირველობა ფარიკაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, თბილისის, ქუთაისის, ზესტაფონისა და წულუკიძის ნაკრები გუნდები. უმცროსი ასაკის რაპირისტთა შორის ბოლო ტურამდე წაუგებლად მიდიოდნენ ქუთაისელი ლ. კვანტალიანი და თბილისის ჩემპიონი გ. ცანავა. გადამწყვეტი შეხვედრა მოიგო ქუთაისელმა და დაიკავა პირველი ადგილი. გოგონათა შორის გამარჯვებული გამოვიდა წულუკიძის რაიონის მოსწავლე ი. ვაშაკიძე.

საშუალო ასაკში აშკარა იყო თბილისელ მოფარიკავეთა უპირატესობა. გოგონათა შორის პირველი ადგილი მოიპოვა ვ. გიორგაძემ. ჭაბუკთა შორის რაპირით ფარიკაობაში უძლიერესი იყო ზ. ცქიტიშვილი, ესპადრონში — ვ. შური. უფროსი ასაკის ესპადრონისტთა შორის გამარჯვება წილად ხვდა ო. მოსიძეს (ქუთაისი).

გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა თბილისის კოლექტივმა, მეორე ადგილზე გამოვიდნენ ქუთაისის, ხოლო მესამეზე — ზესტაფონის მოფარიკავეები.

**გ. უშანგიშვილი**

## ნორჩ მოკრივეთა ჩემპიონატი

ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში დამთავრდა საქართველოს „ნორჩი დინამოელის“ პირადი პირველობა კრივში.

საინტერესო გამოდგა ფინალური შეხვედრები. მსუბუქ წონაში ქუთაისელმა ჯ. კვანტალიანმა მოუგო ბრძოლა გ. გუმბიაშვილს და მოიპოვა პირველი ადგილი, ქვემსუბუქ წონაში ჩემპიონი გახდა თბილისელი რ. მანუკოვი, მსუბუქ წონაში ა. ხუბულურმა დაამარცხა თ. სეფისკვერაძე და მოიპოვა პირველობა. სხვა წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ ჯ. გოგისვანიძე, რ. აკოფოვი, ა. ფროლოვი, ვ. პინკოვსკი და ქ. გიორგაძე.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს თბილისელმა მოკრივეებმა.

**უ. ჭითავა**

## ბაიდარებით ალაზანზე

თელავიდან მდინარე ალაზნით მინგეჩაურისაკენ გაემართნენ თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის მიერ მოწყობილი საწყლოსნო ტურისტული ლაშქრობის მონაწილენი. ალაზნიდან ისინი გადავლენ მდინარე მტკვარზე და ჩავლენ დაბა საბირაბადში (აზერბაიჯანი). ტურისტები გაივლიან 600 კილომეტრს.

საწყლოსნო ტურისტული ლაშქრობა, რომელიც 20 დღეს გასტანს, მიძღვნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისადმი.

**უ. ჭიჭინაძე**

## გაიმარჯვა მ. ფილიპმა

პრაღაში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც მიეძღვნა მსოფლიოს პირველი ჩემპიონის ვ. სტეინიცის დაბადების 120 წლისთავს. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 10 ქვეყნის 20 უძლიერესი მოჭადრაკე.

ტურნირში თავიდანვე დაწინაურდა საბჭოთა გროსმაისტერი ვ. რაგოზინი. შეჯიბრების დასკვნით შეხვედრებში მას გაუსწრო ჩეხოსლოვაკელმა გროსმაისტერმა მიროსლავ ფილიპმა და 13 ქულით პირველი ადგილი გაინაწილა. გამარჯვებულს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა ვ. რაგოზინი. III-IV ადგილები გაიყვეს გროსმაისტერებმა ლ. პახმანმა და ს. ფლორმა—12 ქულა თვითეულს.

## „კოლმეურნის“ რესპუბლიკურ საბჭოში

სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ რესპუბლიკურმა საბჭომ განიხილა ჩხოროწყუს რაიონის კოლმეურნე ახალგაზრდებს შორის მასობრივფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მდგომარეობის საკითხი.

აღინიშნა, რომ „კოლმეურნის“ ჩხოროწყუს რაიონული საბჭო სუსტად ახორციელებს ხელმძღვანელობას რაიონის სოფლის ახალგაზრდობას შორის ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში. საკოლმეურნეო ფიზკულტურული კოლექტივები ორგანიზაციულად ვანუმტკიცებელია, ხოლო ბევრი მათგანი ფორმალურად არსებობს; ჩაშლილია სასწავლო სპორტული მუშაობა; არ მოქმედებენ სექციები; ჩავარდნებია თანრიგოსან სპორტსმენთა მომზადების სახელმწიფო გეგმის შესრულებაში; არ არის დანერგილი სპორტის ისეთი წამყვანი სახეობები, როგორიცაა მძლეოსნობა, ველოსპორტი, ჭიდაობა, ძალოსნობა და სხვ., ადგილი აქვს ფინანსურ დამახინჯებებს.

„კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა, მხედველობაში მიიღო რა ჩხოროწყუს რაიონის კოლმეურნე ახალგაზრდებს შორის სპორტულ მუშაობაში არსებული ჩავარდნები, „კოლმეურნის“ ჩხოროწყუს რაიონულ საბჭოს დაავალა გადაჭრით გარდაქმნას მუშაობა, უზრუნველყოს სოფლის ახალგაზრდობის მასობრივად ჩაბმა ფიზკულტურასა და სპორტში. შექმნას ახალი ფიზკულტურული კოლექტივები და ორგანიზაციულად განამტკიცოს ისინი, ჩამოაყალიბოს სპორტული სექციები; ადგილებზე პრაქტიკული დახმარება გაუწიოს ძირეულ კოლექტივებს სპორტის შემდგომი განვითარებისათვის რაიონის კოლმეურნე ახალგაზრდებში.

„კოლმეურნის“ ჩხოროწყუს რაისაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. გაბედავას რაიონის სოფლის ახალგაზრდებში სპორტული მუშაობის ჩაშლისათვის დაედო სასჯელი.

ფეხბურთი

# ჭაბუკთა რესპუბლიკური შეჯიბრება

დამთავრდა რესპუბლიკური შეჯიბრება ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის, რომელიც თბილისში მიმდინარეობდა. გათამაშებაში მონაწილე გუნდები ფინალში შეხვდნენ საბოლოო ადგილების გამოსავლინებლად.

ფინალში პირველი ადგილისათვის თამაშობდნენ თბილისის „ნორჩი დინამოელი“ და აფხაზეთის ნაკრები გუნდი. თბილისელებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ თამაშში — მათ მოწინააღმდეგის კარში გაიტანეს 7 ბურთი, ხოლო თავისაში მიიღეს მხოლოდ 1. ამრიგად, თბილისის „ნორჩი დინამოელის“ ფეხბურთელებმა (მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. გაგუა) მოიპოვეს რესპუბლიკის 1956 წლის ჩემპიონობა. აფხაზეთის გუნდმა (მწვრთნელი ჩიტაია) დაიკავა მეორე ადგილი.

ბრძოლა მესამე ადგილისათვის გაიმართა თბილისის ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლისა და „შრომით რეზერვებს“ შორის. სკოლის ფეხბურთელებმა (მწვრთნელი ა. ორლოვი) მინიმალური ანგარიშით მოიგეს შეხვედრა და დაიკავეს მესამე ადგილი. მომდევნო ადგილები განაწილდა შემდეგნაირად: „შრ. რეზერვები“, ბავშვთა სპორტული საფეხბურთო სკოლა (თბილისი), სამხრეთ ოსეთი, ზუგდიდი, ქუთაისი, ხაშური და აჭარა.

განვლილმა შეჯიბრებამ ცხადყო, რომ მუშაობა ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის ჩვენს რესპუბლიკაში დაბალ დონეზე დგას (აჭარა, ქუთაისი, ხაშური). გუნდების უმრავლესობა ტექნიკურად სუსტადაა მომზადებული, ბევრი მოთამაშე მატჩის ბოლომდე ვერ იტანს სრულ დატვირთვას, დაბალია მათი ტაქტიკური მომზადებაც. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ადგილებზე სათანადოდ არაა დაყენებული სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა. ზოგიერთი გუნდი შეკრებილ იქნა შეჯიბრებამდე რამდენიმე დღით ადრე და ასე „მომზადებული“ ჩამოვიდა თბილისში.

კარგი მომზადება აჩვენეს მხოლოდ იმ ჭაბუკმა ფეხბურთელებმა, რომლებიც სისტემატურად ვარჯიშობენ და მონაწილეობენ რესპუბლიკურ პირველობაზე მოზრდილთა გუნდების შემადგენლობაში. გარდა ამისა, მხოლოდ ნორჩი დინამოელები გამოირჩეოდნენ კარგი ტექნიკით და ენერგიული, ტემპიანი თამაშით.

მოზარდ ფეხბურთელთა საერთო მასიდან კარგი თამაშით გამოირჩეოდნენ თ. ცერცვაძე, რ. პაიჭაძე, ა. ჩერტიკოვი, დ. თათარაშვილი („ნორჩი დინამოელი“), ა. პაპასკირი, შ. სიჭინავა, ა. მინჯია, ნ. ვოდიანიცკი (აფხაზეთი), ზ. ბზიკაძე, ა. მარგველაშვილი (ქუთაისი), გ. ფომჩენკო, ვ. ხარბედია (ახ. ფეხ. სკ.).

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ შერჩეულ იქნა ნაკრები გუნდი ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის.

დ. ჩხენკელი

# პირველი წრის უკანასკნელი მატჩი

„ბ“ კლასის მეორე ზონის გუნდებს—თბილისის ოფიცერთა სახლსა და სტალინაბადის „კოლხოზჩის“ ამ შეხვედრამდე უკიდურესად საწინააღმდეგო ადგილები ეკავათ გათამაშების ცხრილში: ოფიცრები ლიდერობდნენ, ხოლო სტალინაბადელები ბოლო ადგილზე იმყოფებოდნენ.

პირველი ტაიმის 12 წუთში ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობები ზედიზედ ვერ გამოიყენეს რამიშვილმა, კურტანიძემ, თარბამ, მაგრამ მე-13 წუთზე ნორაკიძის ძლიერი დარტყმის შემდეგ სტუმრებმა თამაში ცენტრიდან დაიწყეს.

ორი წუთის შემდეგ თბილისელებმა მარჯვენა ფრთაზე გაითამაშეს ლამაზი კომბინაცია, ბურთი მიიღო დოლაქიძემ, რომელმაც მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე ჩააწოდა. თბილისელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა მელაშვილმა ძლიერი დარტყმით მეორე ბურთი მოათავსა სტუმრების კარის ბადეში.

მეორე ნახევრის 28 წუთის განმავლობაში სტუმრები დაახლოებით 7 აშკარა გოლისაგან იხსნა მეკარემ, ძელმა და თბილისელ თავდამსხმელთა არასიზუსტემ.

29-ე წუთზე ტრუფანოვი მოტყუედა თბილისელთა მარცხენა გარემარბ თარბასთან ორთაბრძოლაში და იძულებული გახდა მესამე ბურთი გამოეტანა საკუთარი ბადიდან. 32-ე და 37-ე წუთებზე კურტანიძემ და ბეგლარიანმა (მეორე ნახევარში თამაშობდა დოლაქიძის ნაცვლად) ხუთამდე გაზარდეს ანგარიში.

საკავშირო კატეგორიის მსაჯის ა. ზიბლიკოვის (ლენინგრადი) საფინალო სასტვენმა მაყურებლებს აუწყა მასპინძლების გამარჯვება 5:0. ეს იყო თბილისელთა უკანასკნელი მატჩი პირველ წრეში. დღეისათვის ჩატარებული 17 შეხვედრიდან ოფიცრებმა მოაგროვეს 28 ქულა ბურთების შეფარდებით 53:9 და ლიდერობენ გათამაშებას.

ო. ბამეხარდაშვილი.



— რას უჩივით?
— თბილისის „დინამოს“.

# ჰაერში ლივლივებდა თვითნაკეთი მოდელები

## ავიამოდელისტთა რესპუბლიკური პირველობა





ამ დღეებში რუსთავის პლანეროდრომზე კვლავ ასტუმრნენ ნორჩი კონსტრუქტორები, ამჯერად ნორჩ მოდელისტთა XXV რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობის მონაწილენი — თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის (2), ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის, 26 კომისრის სახელობის რაიონისა და ხაშურის პიონერთა სახლის გუნდები. აქ უნდა შემოწმებულიყო მათი ერთი წლის მუშაობის შედეგები, მოდელების გამძლეობა, ფრენის ხანგრძლივობა და სიზუსტე.

სტარტზე პირველად გამოვიდნენ სქემატური პლანერებით შეჯიბრების მონაწილენი. ამ კლასის მოდელებით შეჯიბრებაში გამარჯვება წილად ხვდა თბილისის პიონერთა სასახლის აღსაზრდელს ა. ოპალჩენკოს, რომლის მოდელმა ყველაზე მეტ ხანს დაჰყო ჰაერში და ნაკეთობის მხრივაც უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. მეორე ადგილი დაიკავა ი. მღებრიშვილმა (26 კომისრის სახელობის რაიონი).

მეორე დღეს მოეწყო შეხვედრები ფიზელაჟიანი პლანერებით. აქ ჩემპიონობის ძირითადი პრეტენდენტები იყვნენ ო. თუსიშვილი, ვ. საკოვი და ს. პოლიშჩუკი. პირველად სტარტი აიღო ვ. საკოვის (პიონერთა სასახლის I გუნდი) პლანერმა. მსაჯებმა მისი ფრენა 325 ქულით შეაფასეს, მაგრამ გამარჯვება მაინც პირად პირველობაში მონაწილე ს. პოლიშჩუკმა (ბავშვთა მხატვრული აღზრდის რკინიგზელთა სახლი) და ო. თუსიშვილს (26 კომისრის სახ. რაიონი) დარჩათ. ჩემპიონობა მიეკუთვნა პოლიშჩუკს (489 ქულა). თუსიშვილი მეორე ადგილით დაკმაყოფილდა.

საინტერესო იყო რეზინის ძრავიანი სქემატური და ფიზელაჟიანი მოდელების შეჯიბრება. ორივე კლასში ჩემპიონობა წილად ხვდათ პიონერთა სასახლის I გუნდის წევრებს. რეზინის ძრავიანი სქემატური მოდელებით ასპარეზობაში გამარჯვებული გამოვიდა ა. პანკევიჩის მოდელი. მანვე მოუტანა პირველი ადგილი პიონერთა სასახლის I გუნდს.

— სტარტზეა ი. მაისურაძის ფიზელაჟიანი რეზინის ძრავიანი მოდელი 41, — გამოაცხადა მსაჯმა. თბილისის 86-ე საშუალო სკოლის IX კლასელმა ი. მაისურაძემ, რომელიც პიონერთა სასახლის ავიამოდელისტთა წრის აქტიური წევრია, შესანიშნავი მოდელი წარმოადგინა შეჯიბრებაზე. სხვა მონაწილეთა ცდა გაეუმჯობესებინათ მისი შედეგი, უნაყოფო გამოდგა.

პირველობის უკანასკნელ დღეს ჩატარდა ფიზელაჟიანი ღვუშის ძრავიანი მოდელებით შეჯიბრება. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის აღსაზრდელის გ. ნემსაძის მიერ დამზადებულმა მოდელმა ჰაერში დაჰყო 1 წუთი და 26 წამი. ლ. ასათიანის (26 კომისრის სახ. რაიონი) მოდელმა — 12 წამით ნაკლები. ჩემპიონობა მიეკუთვნა გ. ნემსაძეს. გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის წარმომადგენლებმა.

შეჯიბრება დამთავრდა. ხუთივე კლასის მოდელებით ასპარეზობაში საერთო პირველი ადგილი მიეკუთვნა პიონერთა სასახლის I გუნდს, რომელმაც 1.422 ქულა მოაგროვა.

ო. გელაშვილი.

* * *

სურათზე: ი. მაისურაძე (მარცხნივ) და ა. პანკევიჩი სტარტზე.

# საქართველოს პირველობა

განვლილ კვირას შედგა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

ქობულეთის „კოლმეურნე“ თბილისში შეხვდა ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის გუნდს. სტუმრებმა გაიტანეს ორი ბურთი და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

ქუთაისში თამაშობდნენ ადგილობრივი „ტორპედო“ და რუსთავის „მეტალურგი“. დასაწყისში ინიციატივა ჰქონდა „მეტალურგს“, მაგრამ ტორპედოელებმა შეძლეს მოწინააღმდეგის იერიშების მოგერიება და მალე გახსნეს კიდეც ანგარიში. მეორე ტაიმში რუსთავის ფეხბურთელებმა გაიტანეს საპასუხო ბურთი — 1:1.

იმავე მინდორზე თამაშობდნენ ქუთაისის „დინამო“ და მახარაძის „კოლმეურნე“. შეხვედრა თავიდანვე სწრაფ ტემპში დაიწყო. შესვენებისათვის ანგარიში იყო 1:0 „დინამოს“ სასარგებლოდ. შემდგომში დინამოელებმა შეძლეს კიდევ ერთი ბურთის გატანა მოწინააღმდეგის კარში და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

მეტად დაძაბული გამოდგა მატჩი ბათუმში ადგილობრივ და გორის დინამოელთა შორის. მასპინძლებმა თამაში შეტევით დაიწყეს და შეძლეს ბურთის გატანა მოწინააღმდეგის კარში. გორელები მეორე ტაიმში გაცილებით აქტიურად თამაშობდნენ. მათ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მოწინააღმდეგის კართან, მაგრამ არაზუსტი დარტყმების გამო ვერ შეძლეს მათი გამოყენება. ანგარიში 1:0 ბათუმის „დინამოს“ სასარგებლოდ არ შეცვლილა.

გათამაშების ლიდერი თბილისის „ლოკომოტივი“ ახალქალაქში შეხვდა ადგილობრივ ნაკრებ გუნდს. თბილისელები აშკარად ჯობნიდნენ მოწინააღმდეგეს თამაშის კლასით, ამიტომ ახალქალაქელებმა თავიდანვე დაცვითი ვარიანტს მიმართეს. პირველ ტაიმში გატანილ ორ ბურთს რკინიგზელებმა მეორე ნახევარში ამდენივე დაუმატეს, ხოლო თავისაში მიიღეს ერთი. მატჩი დამთავრდა „ლოკომოტივის“ გამარჯვებით ანგარიშით 4:1.

უინტერესო და უფერული გამოდგა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდისა და სოხუმის „დინამოს“ შეხვედრა, რომელიც სოხუმში შედგა. ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო გაემჟღავნებინა ტაქტიკურად გამართული თამაშის ჩვევები. ორიოდე მომენტი, რომელიც ტრამვაელებმა შექმნეს „დინამოს“ კართან, უშედეგოდ დამთავრდა. შედეგი — 0:0 კარგად ასახავს ამ მატჩის მსვლელობას.

# საკავშირო ლონისძიება

ლენინგრადს გაემგზავრა თბილისის ახალგაზრდათა საფეხბურთო სკოლის გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საკავშირო კომიტეტის თასის გათამაშებაში.

გათამაშება ჩატარდება 12-დან 31 ივლისამდე ერთ წრეში.

მოგვყავს თბილისის გუნდის შეხვედრათა კალენდარი: 12 ივლისი. თბილისი — მინსკი, 15. თბილისი — ტაშკენტი, 18. თბილისი — „შრ. რეზერვები“, 21. თბილისი — მოსკოვი, 24. თბილისი — კიევი, 27. თბილისი — ლენინგრადი.

# ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 8 ივლისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ | 14 | 9 | 3 | 2 | 47:18 | 21 |
| „ტორპედო“ | 15 | 8 | 3 | 4 | 30:30 | 19 |
| „ტორპედო“ | 13 | 6 | 5 | 2 | 25:17 | 17 |
| „დინამო“ კ. | 13 | 5 | 6 | 2 | 16:14 | 16 |
| „დინამო“ მ. | 14 | 5 | 6 | 3 | 22:19 | 16 |
| „ლოკომოტივი“ | 14 | 3 | 6 | 5 | 18:17 | 12 |
| ცდსა | 13 | 4 | 4 | 5 | 20:20 | 12 |
| „დინამო“ თბ. | 14 | 4 | 4 | 6 | 22:23 | 12 |
| „ზენიტი“ | 14 | 1 | 10 | 3 | 14:23 | 12 |
| „შრ. რეზერვ“. | 13 | 2 | 5 | 6 | 15:22 | 9 |
| ოფ. სახლი სვ. | 13 | 3 | 3 | 7 | 18:30 | 9 |
| „შახტიორი“ | 14 | 1 | 7 | 6 | 13:27 | 9 |

**მოსკოვი.** 1 ივლისი. აქ გაიმართა მატჩი „ლოკომოტივსა“ (მოსკოვი) და „ბურევესტნიკს“ (კიშინიოვი) შორის.

თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

* * *

**ლენინგრადი.** 1 ივლისი. ადგილობრივმა „ზენიტმა“ მიიღო სტალინოს „შახტიორი“.

მატჩის შედეგია 1:1.

* * *

**კიევი.** (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). 1 ივლისს კიევში, ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის სტადიონზე გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ კიევისა და თბილისის „დინამოს“ გუნდები.

მატჩი მეტად დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა. კიეველ კოროშუნოვის მიერ გატანილ ორ ბურთს ლოლობერიძემ მხოლოდ ერთი გოლით უპასუხა. თბილისელთა მრავალ ცდას გაეუმჯობესებინათ ანგარიში, შედეგი არ მოუცია. ანგარიშით 2:1 გამარჯვება მოიპოვეს კიეველებმა. მათვე მოიგეს დუბლიორთა შეხვედრაც — 2:0.

# „სიკვდილის ბალეტი"

წარმოიდგინეთ ვეებერთელა სარბიელი... მაღალი მოაჯირების იქით ვიგანტური ამფითეატრი სავსეა აღგზნებული, ტემპერამენტიანი მაყურებლით. ათობით ათასი წყვილი თვალი, გაჭარხალებული სახეები მიჩერებია სარბიელს, სადაც თავდახრილი, გაბოროტებული ხარი თავდავიწყებით დარბის. დაჭრილი პირუტყვის მთელი მძვინვარება მიმართულია წითელი ამრეშუმის წამოსასხამისაკენ, რომელიც მატადორის ხელში უდარდელად ფრიალებს და კიდევ უფრო მეტად აღიზიანებს წონასწორობიდან გამოსულ ცხოველს.

მატადორის მოძრაობა მსუბუქია, რითმიული. იგი ერთი შეხედვით „სამხრეთულ ცეკვას" მოგვაგონებს. მაგრამ ლამაზი წარმოდგენა მხოლოდ რამდენიმე წუთის გრძელდება — ზუსტად მანამ, ვიდრე მატადორის ხელში გაიელვებს დაშნა... ამ მომენტიდან მატადორი და დაჭრილი მხეცი სასიკვდილოდ არიან განწირულნი. სასწორზე იდება ადამიანისა და ცხოველის სიცოცხლე. გაიმარჯვებს ის, ვინც უფრო მოხერხებული და თავდაჭერილია. მატადორი ოსტატურად აყენებს სასიკვდილო ჭრილობას გაველურებულ ხარს, რომელიც მოჭრილი მუხასავით ენარცხება მიწას.

ეს არის სანახაობის კულმინაციური წერტილი. ამ დროს მაყურებლები წარმოუდგენლად აღფრთოვანებულნი არიან. გამარჯვებულის ფეხქვეშ ეცემა ქუდები, ცხვირსახოცები, ხელთათმანები... ეს იმას ნიშნავს, რომ მატადორმა გაიმარჯვა, სარბიელის მოყვითალო სილაზე სულს ლაფავს დამარცხებული ცხოველი.

ყოველივე ეს ხარებთან ბრძოლის მხოლოდ ფინალია. ამ სისხლიან საცირკო სანახაობას მდიდრული და საღღესასწაულო შესავალი აქვს. მზის სხივებით გაბრწყინებულ სარბიელზე თავდაპირველად შემოდის საპარადოდ გამოწყობილი მატადორი. მას მოჰყვებიან ცხენებზე შემომსხდარი პიკადორები და მეომარი ბანდერილიეროები. საზეიმო შემოვლის შემდეგ სარბიელი წამით ცარიელდება.

ჰაერს საყვირის ხმები აპობს. იღება წითელი კარები და სარბიელზე ქლიმინით შემორბის ხარი. მზის ბრწყინვალებით დაბრმავებული ცხოველი იმავ წამს ეკვეთება წითელ წამოსასხამებს, რომლებიც მატადორის მოადგილეებს უკავიათ. შემდეგ ცერემონიალში ებმებიან პიკადორები. ისინი ბასრი იარაღის რამდენიმე დარტყმით აძულებენ მხეცს თავი დაბლა დახაროს. თავდახრილი, გააფთრებული ცხოველი ცდილობს რქებზე წამოაგოს „დამნაშავე" (სწორედ ამიტომ პიკადორებს წვივს ქვევით რკინის საბარკულები უკეთიათ).

პიკადორების ადგილს ბანდერილიეროები იკავებენ. ისინი ხარს კისრის მიდამოებში ურჭობენ მოკლე შუბებს, რომელთა ბოლოებზე ბრჭყვიალა ნაჭრებია (ცხოველის გასაღიზიანებლად) დამაგრებული. როდესაც ცხოველის გააფთრება უმაღლეს წერტილს მიაღწევს, სარბიელზე შემოდის მატადორი. იგი ხალხს მიესალმება და შემდეგ გაშლილი წამოსასხამით უახლოვდება გამძვინვარებულ ცხოველს... იწყება „სამხრეთული ცეკვა", რომელსაც ფრანგულმა სპორტულმა გაზეთმა „ეკიპმა" სამართლიანად უწოდა „სიკვდილის ბალეტი".

ხარებთან ბრძოლა [illegible] პოპულარულია მთელ რიგ ქვეყნებში. დღეს ამ სანახაობას ათასობით თაყვანისმცემელი ჰყავს ესპანეთში, ლათინურ ამერიკაში. საფრანგეთში იგი იმართება მხოლოდ სამხრეთის ქალაქებში — ბორდოში, ტულუზაში, მარსელში.

ხარებთან ბრძოლის მონაწილენი და პირველ რიგში მატადორები, ძლიერი, უშიშარი და მტკიცე ნებისყოფის მქონე ადამიანები არიან. ბრძოლას აქვს თავისი გარკვეული წესები, ამიტომ მატადორი მისთვის კრიტიკულ მომენტებში შეზღუდულია, იმ დროს, როდესაც გაფთრებული მხეცი არავითარ კანონებს არ ემორჩილება. ეს კიდევ უფრო საპატიოს ხდის იმ გამარჯვებას, რასაც უნდა მიაღწიოს მატადორმა ნახევარტონიანი ცხოველის წინააღმდეგ ბრძოლაში (ხარის მინიმალური წონა არ უნდა იყოს 430 კილოგრამზე ნაკლები). მატადორის ოსტატობა ხანგრძლივი წვრთნის ნაყოფია, ამიტომ ბრძოლაში მხოლოდ გამოცდილი მატადორები მონაწილეობენ. ერთი ბრძოლისათვის ცნობილი მატადორი ორ მილიონამდე ფრანკს იღებს (მუშის საშუალო ხელფასი თვეში 25 ათას ფრანკს უდრის). მატადორები ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობენ.

უნდა ითქვას, რომ ხარებთან ბრძოლა ყოველთვის მატადორის გამარჯვებით არ მთავრდება. ისტორიამ იცის ბევრი შემთხვევა, სადაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლიდან ცხოველი გამოსულა გამარჯვებული, ამას გარდა რამდენი დასახიჩრებულა სამუდამოდ?

გაზეთ „ეკიპი" რეგულარულად აშუქებს ხარებთან ბრძოლის მიმდინარეობას. მისი აზრით ხართან ბრძოლამ ადვილად შეიძლება წაართვას მაყურებელი ყველაზე განთქმულ სპორტულ სანახაობას. მას ეს სისხლიანი სანახაობა „თანამედროვეობის ტრაგედიად" მიაჩნია.

# მასობრივი ტურნირის წინ

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადას მიეძღვნება საკავშირო მასობრივი საჭადრაკო ტურნირი. ამ შეჯიბრებაში, რომელიც უკვე მიმდინარეობს, მონაწილეობას იღებენ ახალგაზრდა მოჭადრაკეები. ამას წინათ დამთავრდა თბილისის მასობრივი ტურნირის ფინალი, რომელსაც წინ უსწრებდა წარმოება-დაწესებულებებისა და სარაიონო ტურნირები. ეს შეჯიბრებები ოლიმპიური წესით ჩატარდა.

თბილისის ჯგუფიდან რესპუბლიკურ მასობრივ ტურნირის ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს პირველთანრიგოსნებმა: თ. ლომაიამ, ზ. ჩაჩუამ, ვ. კაჭარავამ, ი. სვანიძემ, მ. პაიჭაძემ, გ. ლომიძემ, პ. ხიზანიშვილმა, ლ. შათაშვილმა, გ. ოგანიანმა, მ. შაქარიანმა და ი. ვეტოხინმა.

რესპუბლიკური მასობრივი ტურნირის ფინალში დასახელებული მოჭადრაკეების გარდა მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გამარჯვებული მოჭადრაკეები, აგრეთვე ოსტატები და ოსტატობის კანდიდატები. ამ შეჯიბრებაში 6 გამარჯვებული მოჭადრაკე მონაწილეობას მიიღებს საკავშირო მასობრივი ტურნირის ფინალში, რომელიც სექტემბერში გათამაშდება მოსკოვში.

# მასალები ზუგდიდის მუზეუმიდან

## საგულისხმო რვეულები

### I

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ხალხი ჭადრაკს VIII საუკუნეში ეზიარა და ქამთა ვითარებაში უხვად შემოინახა ლიტერატურული ძეგლები, ქართული საჭადრაკო კულტურის წარსული ნაკლებადაა შესწავლილი. სამწუხაროდ, არსად არ გვხვდება რაიმე ცნობა ჩვენში გამოჩენილ მოჭადრაკეთა არსებობის შესახებ. მხოლოდ XIX საუკუნეში საჭადრაკო ასპარეზზე გამოჩნდა თვალსაჩინო მოჭადრაკე ანდრია დადიანი (1850-1910 წ. წ.), რომელიც ევროპისა და რუსეთის საჭადრაკო საზოგადოებრიობამ შესანიშნავ მოჭადრაკედ აღიარა. გამოჩენილი ქართველი მოჭადრაკის ცხოვრება და შემოქმედება ათეული წლების მანძილზე შეუსწავლელი რჩებოდა. ამიტომ გასაგებია ის ინტერესი, რომელიც გამოიწვია ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ა. დადიანის ნაწილობრივ აღდგენილი სპორტული ბიოგრაფიის გამოქვეყნებამ.

ის, რაც დღემდე გაკეთდა ა. დადიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის საქმეში, ძირითადად ხდებოდა გასული საუკუნის უცხოეთისა და რუსული საჭადრაკო პრესასთან გაცნობის მეოხებით. ჩვენ მაშინაც ვფიქრობდით, რომ ზუგდიდში — ა. დადიანის მშობლიურ ქალაქში უნდა ყოფილიყო რაიმე სხვა მასალა, რომელიც მეტ სინათლეს მოჰფენდა ა. დადიანის შემოქმედებას. მწერალ ს. ცაიშვილის რჩევით, რომელიც კარგად იცნობს ზუგდიდის მუზეუმს, ამას წინათ გავემგზავრე ზუგდიდში საარქივო მასალების გასაცნობად.

ზუგდიდის მუზეუმში ბევრი რამაა დაცული, რაც ა. დადიანს, როგორც მოჭადრაკეს შეეხება. განძეულთა შორის არის ა. დადიანის ჭადრაკი, ჭადრაკის სათამაშო მაგიდა, რუსი გროსმაისტერის შიფერსის შრომა „ა. დადიანის პარტიების დაბოლოებათა კრებული", ფოტოსურათები და სხვ. მაგრამ უფრო საინტერესოა ის რომ მუზეუმში ინახება ა. დადიანის შეუსწავლელი ხელნაწერები. მუზეუმის მუშაკებმა (პ. ჯიშკარიანმა და ი. გოგიამ) დიდად შეგვიწყეს ხელი საფუძვლიანად გავცნობოდი გამოჩენილ მოჭადრაკის მემკვიდრეობას.

ა. დადიანის ხელნაწერები, რომლებიც ძირითადად 70-იან და 80-იან წლებს ეკუთვნის, ფრანგულ ენაზეა დაწერილი. ხელნაწერები შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს: პარტიების კრებული და თეორიის საკითხებისადმი მიძღვნილი რვეულები. სულ ხელნაწერების რაოდენობა 700 გვერდს აღემატება.

რას წარმოადგენენ ეს რვეულები, რა საკითხებს ეხება ა. დადიანი?

პარტიების კრებული ძვირფას ყდაში ჩასმულ სქელტანიან რვეულს წარმოადგენს, რომელსაც ოქროს ასოებით აწერია — „სამეგრელოს თავადის ა. დადიანის პარტიები". კრებულში 100-ზე მეტი პარტიაა თავმოყრილი. აქ არის პარტიები ცნობილ გროსმაისტერებთან ფრანგ ს. როზენტალთან, უნგრელ ი. კოლიშთან, იტალიელ ოსტატ ს. დიუბუასთან, რუსეთისა და უცხოეთის სხვა მოჭადრაკეებთან. აქვეა მოყვანილი მატჩის პარტიები, რომლებიც ა. დადიანს თბილისში 1888 წელს იმ დროინდელ უძლიერეს მოჭადრაკე ადვოკატ სმიტენთან უთამაშია, აგრეთვე რომში 1879 წელს დიუბუასთან გათამაშებული მატჩის ხუთი პარტია. საინტერესოა პარტიები ქართველ მოჭადრაკეებთან მაჩაბელთან (ვასოსთან თუ ვანოსთან ჯერ ნათელი არაა), მამია გურიელთან, გრიგოლ დადიანთან, თედო ხოშტარიასთან, ირაკლი ლორთქიფანიძესთან, გიორგი ბებურიშვილთან. საყურადღებოა ა. დადიანის ორი მოგებული პარტია ერდელთან, რომელიც 90-იან წლებში თბილისში საჭადრაკო ცხოვრების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო.

თეორიის საკითხებისადმი მიძღვნილია ცხრა რვეული. სამწუხაროდ, კრებულს მე-7 რვეული აკლია. ჩვენის აზრით ამ ხელნაწერებს აკლია აგრეთვე სხვა რვეულებიც, რადგან მასალა, რომელიც ა. დადიანს უკანასკნელად აქვს შეტანილი, დათარიღებულია 1892 წლით.

თეორიული რვეულების ფორმატი ჩვეულებრივ რვეულზე დიდია, კარგ ქაღალდზე შავი ტუშითაა დაწერილი, ხოლო ზოგიერთი ჩასწორებები ფანქრითაა გაკეთებული.

მდიდარია რვეულების შინაარსი. მათში კარგად იგრძნობა ა. დადიანის ჭადრაკისადმი ინტერესი, მისი საჭადრაკო აზროვნების ლაბორატორია. ხელნაწერებში ჩვენ ვხვდებით იმ დროინდელი პოპულარული დებიუტების ანალიზებს და პაექრობას ცნობილ თეორიულ დასკვნებთან, შენიშვნებს ამა თუ იმ ჟურნალებში გამოქვეყნებულ პარტიების ცალკეული მომენტებისადმი, თვით ა. დადიანის მიერ კომენტირებულ პარტიებს. ქართველ მოჭადრაკე რეგულარულად შეჰქონდა რვეულებში საჭადრაკო ჟურნალებიდან საინტერესო ცნობები ჭადრაკის ისტორიიდან ან თეორიის საკითხებიდან. რვეულებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საჭადრაკო კომპოზიციას. ა. დადიანი იწერდა რა ცნობილი კომპოზიტორების კარგ ამოცანებს, ზოგჯერ საკუთარ შენიშვნებსაც უკეთებდა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ა. დადიანს ამოწერილი აქვს ამერიკულ საჭადრაკო ჟურნალში მსოფლიო ჩემპიონ ვ. სტეინიცის მიერ გარჩეული პეტერბურგის მოყვარულთა ტურნირზე 1881 წელს მის მიერ ლ. პუშკინთან მოგებული პარტია. თეორიულ ინტერესს წარმოადგენს ა. დადიანის მიერ შედგენილი მისი დროის ცნობილი დებიუტების სარჩევი. ჩამოთვლილია 681 პარტია დებიუტის, მოთამაშეებისა და ამ პარტიის გათამაშების ადგილის დასახელებით.

ხელნაწერების არქივის გარდა მუზეუმში არის უცხო ენებზე დაწერილი წიგნების კატალოგი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის დარგების მიხედვით დაკომპლექტებული. მასში მოიძებნა მრავალი საჭადრაკო წიგნი და ჟურნალი. ეს ლიტერატურა, რომელიც შეიცავს ა. დადიანის შენიშვნებსაც, ისე როგორც საერთოდ ზუგდიდის მუზეუმის ა. დადიანის არქივი, ჯერ კიდევ კვლევისა და შესწავლის საგანია.

შემდგომ წერილებში, რომელიც ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდება ა. დადიანის ხელნაწერებზე დაყრდნობით, შევეხებით იმ საკითხების გაშუქებას, რომლებიც საქართველოს საჭადრაკო კულტურის ისტორიისათვის დიდ ინტერესს წარმოადგენს.

**თ. გიორგაძე,**
ოსტატობის კანდიდატი.

# მარათონული მგზავრობა

ოთხმა ფრანგმა — 48 წლის ჟურნალისტმა, „რუტ ე პისტის" („გზატკეცილი და ტრეკი") რედაქტორმა ანტუა ვულონმა, კინოოპერატორებმა: 44 წლის რენე ქეიონმა, 24 წლის მორის ლესობრმა და 18 წლის მექანიკოსმა ჟან ნას ლომ გადაწყვიტეს მოეწყოთ მოგზაურობა მოტოველოსიპედებით (50 კუბ. სმ) პარიზიდან პეკინამდე. ამ საინტერესო ტრასის მარშრუტი გადის ლიუქსემბურგის, გფრ-ს, გდრ-ს, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, იუგოსლავიის, საბერძნეთის, თურქეთის, ირანის, პაკისტანის, ინდოეთისა და ბირმის ტერიტორიაზე. მგზავრობის ინიციატორია ვულონი, რომელმაც ორი წლის წინათ მოაწყო ზუსტად ასეთი სახის გადასვლა პარიზიდან ტოკიომდე.

ვულონის სიტყვით ტურისტების მიზანია გაეცნონ სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა ცხოვრებას და გააბან მათთან მტკიცე მეგობრობა. მგზავრობის პროცესში ისინი გადიღებენ დოკუმენტურ ფილმს.

— შესაძლებელია, — განაცხადა ერთ-ერთმა ფრანგულმა გაზეთმა, — ვულონის ჯგუფმა პეკინიდან ავსტრალიისაკენ გაუხვიოს, სადაც ოლიმპიური თამაშების გახსნაზე ისინი მიწვეულნი არიან, როგორც საპატიო სტუმრები.

# მელბურნის ამბები

ავსტრალიის საიმიგრაციო უწყებამ განაცხადა, რომ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე სპორტსმენებსა და დელეგაციების სხვა წევრებს მელბურნში ჩამოსასვლელად არ სჭირდებათ პასპორტი და ვიზები. ოლიმპიური დელეგაციების წარმომადგენლები მიიღებენ სპეციალურ დოკუმენტებს, რომლებიც დროებით შეცვლის პასპორტს. საიმიგრაციო უწყების განცხადებით ეს გადაწყვეტილება არ ვრცელდება ტურისტებსა და სხვა მაყურებლებზე.



160 ბავშვი ისვენებს კურორტ წყნეთის რკინიგზის პიონერთა ბანაკში. აქ მომავალი თაობისათვის ჯანსაღი დასვენების ყველა პირობაა შექმნილი.

ამას წინათ პიონერთა ბანაკს ესტუმრა ავსტრიის დელეგაცია. პიონერებმა საპატიო სტუმრებს აჩვენეს თავიანთი თვითმოქმედება, სპორტული გამოსვლები და სხვ.

• • •

სურათზე: ჭიდაობის წრის მეცადინეობაზე.

ფოტო გ. ათაბეგოვისა.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ილლო",
ტელეფონები: რედაქტორისა — 8-89-62, პ. მგ. მდივნისა და განყოფილებების — 8-90-84, მორიგისა და გამომშვების — 8-88-26.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 030062